განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მშენებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2021 წლის 5 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 09.11.2021

თბილისი
2021 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მშენებლობა
უმაღლესი განათლების საფეხური	მეშვიდე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ღარიბაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ბალავაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე წაქაძე, შპს „ფორსი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი ნოდია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 19 აპრილის №114 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღია 2021 წლის 31 ივნისი

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:
-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო კურსებს.
-ორ კონცენტრაციას:

1. **კონცენტრაცია** - სამშენებლო კონსტრუქციები (ინგლისურენოვანი)
2. **კონცენტრაცია** - საავტომობილო გზები (ქართულენოვანი)

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის არჩევით კურსებს.

მაგისტრანტებს სწავლების პირველ წელს აქვთ საშუალება საკუთარი ინტერესების მიხედვით აირჩიონ საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული ორი კონცენტრაციიდან ერთ-ერთი. ინგლისურენოვანი კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტი სწავლების პირველ წელს გაემგზავრება ლაგულას (იტალია) უნივერსიტეტში, სადაც შეისწავლის 60 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსებს. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლაგულას უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა ეფუძნება მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად

1. ინგლისურენოვანი კონცენტრაციისთვის:

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - **60 კრედიტი.**

-კონცენტრაცია - სამშენებლო კონსტრუქციები (ინგლისურენოვანი) - **18 კრედიტი.**

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები:

- ინგლისურენოვანი კონცენტაციისათვის **21+21 კრედიტი.** (I და II სემესტრი ჯამში 42 კრედიტი).

2.ქართულენოვანი კონცენტრაციისთვის:

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - **80 კრედიტი.**

-კონცენტრაცია - საავტომობილო გზები (ქართულენოვანი) – **20 კრედიტი.**

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები:

- ქართულენოვანი კონცენტრაციებისთვის **20 კრედიტი.**

ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო კურსებად პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა - ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი, სამეცნიერო წერის საფუძვლები, სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ტექნიკური თარგმანი, ნაგებობების დინამიკა, ძაბვები და დეფორმაციები შენადუღ კონსტრუქციებში, სამაგისტრო ნაშრომი, ნაგებობების დინამიკა, ძაბვები და დეფორმაციები შენადუღ კონსტრუქციებში, ლითონის კონსტრუქციები, ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები.

- **„სამშენებლო კონსტრუქციების“ ინგლისურენოვანი კონცენტრაციის** არჩევისას, სტუდენტებმა ინგლისურ ენაში დამატებით უნდა ჩააბარონ B2 დონის შიგა საუნივერსიტეტო გამოცდა. აღნიშნული კონცენტრაციით განსაზღვრულ სასწავლო კურსებს მაგისტრანტები საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორ ლაგულას უნივერსიტეტში (იტალია) სწავლების პირველ წელს. აღნიშნული კონცენტრაციის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ორ სავალდებულო სასწავლო კურსს - Continuum Mechanics: solid and fluids, Computational Structural Mechanics. აწსუ-ს და ლაგულას უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, პროგრამაში შეთავაზებულია ინგლისურენოვანი კონცენტრაცია 8 სასწავლო კურსით (60 კრედიტი), რომელსაც გაუძღვებიან პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის პროფესორები.

- **„საავტომობილო გზების“ კონცენტრაცია** სტუდენტებს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა - საგზაო სამშენებლო მასალები, საგზაო მანქანები, საავტომობილო გზების პროექტირება.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ საშუალება შეარჩიონ **ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი შემდეგი არჩევითი კურსები** - მათემატიკის სპეციალური თავები, თეორიული მექანიკის სპეციალური თავები, მათემატიკური მოდელირება საინჟინრო საქმეში, კომპიუტერული მოდელირება მშენებლობაში, პედაგოგიური ფსიქოლოგია, პედაგოგიური ფსიქოლოგია, საავტომობილო გზების რეაბილიტაცია- მოდერნიზაცია, წინასწარდაძაბული რკინაბეტონი, მშენებლობის ლოგისტიკა, პედაგოგიური პრაქტიკა, მშენებლობის მენეჯმენტი, საავტომობილო გზების მშენებლობა რთულ გეოლოგიურ და კლიმატურ პირობებში, Timber Engineering, Stability and bifurcation of Structures, Mechanics of Plates and Shells, Discrete and Continuum Models in Mechanics, Advanced Open Channel Flow and Hydraulic Structures, English as foreignlanguage.

პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები:

o პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები).

- o პროგრამის მიზნები.
- o სწავლის შედეგები.
- o სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.
- ○ პროგრამის სტრუქტურა.
- ○ დასაქმების სფეროები.
- o სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.
- o სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები.
- ○ სასწავლო გეგმა.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ირმა ღარიბაშვილი - აკრედიტაციის ექსპერტი (თავმჯდომარე)
ვახტანგ ბალავაძე - აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)
მიხეილ ბიჭია - აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)
ალექსანდრე წაქაძე - აკრედიტაციის ექსპერტი (დამსაქმებელი)
ირაკლი ნოდია - აკრედიტაციის ექსპერტი (სტუდენტი)

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი შედგა დისტანციურად, კერძოდ, Zoom-ის პლატფორმის დახმარებით 2021 წლის 5 ოქტომბერს. ვიზიტის განმავლობაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებლებსა და ბიბლიოთეკის წარმომადგენელს.
ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს ლაბორატორიები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნეს ძირითადი მიგნებები.
ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში დღის წესრიგის შესაბამისად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დისტანციური ვიზიტი და ინტერვიუ შედგა მშენებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ზოგადად, წარმოდგენილი პროგრამა მეტწილად აკმაყოფილებს აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. კერძოდ:

- მეორე სტანდარტთან დაკავშირებით - პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- რაც შეეხება დანარჩენ ოთხ სტანდარტს, პროგრამა სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 2.2.

- მიზანშეწონილია, კურიკულუმის ერთ-ერთი ნაწილის, კერძოდ, „პროგრამის ქართულენოვანი კონცენტრაციის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსებისთვის დადგენილ კრედიტებთან (40 კრედიტი) დაკავშირებულ ჩანაწერსა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსების“ კრედიტების მაჩვენებელს შორის არსებული წინააღდეგობა აღმოიფხვრას.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია: *სასწავლო გეგმის მე-8 - მე-11 პუნქტებში მოცემული 4 სასწავლო კურსი წარმოადგენს ქართულენოვან კონცენტრაციას „სამშენებლო კონსტრუქციები“ (სულ პროგრამაში არის 2 ქართულენოვანი და 1 ინგლისურენოვანი კონცენტრაცია). ტექნიკური ხარვეზის გამო სასწავლო გეგმის ფაილში მე-8 პუნქტის წინ არ დაფიქსირდა ქართულენოვანი კონცენტრაციის სახელწოდება „სამშენებლო კონსტრუქციები“, რამაც გამოიწვია გაუგებრობა. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ წინამდებარე რეკომენდაციის სტატუსი უნდა შეიცვალოს სტატუსით რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.*

ექსპერტთა პოზიცია: *დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციიდან ჩანს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იყო დაშვებული უზუსტობა და არ ფიქსირდება „სამშენებლო კონსტრუქციების“ ქართულენოვანი კონცენტრაციის არსებობა. აღნიშნული კონცენტრაცია ვერც თვითშეფასებისა და კურიკულუმის „პროგრამის სტრუქტურის“ აღწერითი ნაწილის ჩანაწერებში იკითხება. ამასთან, არც დაწესებულების წარმომადგენლებს გაუმახვილებიათ ყურადღება აღნიშნულზე ინტერვიუირებისას. მართალია, უნივერსიტეტი თქმით, ტექნიკური უზუსტობაა დაშვებული, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტებთა მოქმედების არეალი შეზღუდულია გარკვეული ფარგლებით; მათ ევალებათ, იხელმძღვანელონ დაწესებულების მიერ ვიზიტამდე და ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე, ინტერვიუს დროს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებით. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხი არარელევანტურია ჩვენ მიერ გამოთქმულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. ექსპერტები არ არიან უფლებამოსილი, ვიზიტის დასრულების შემდეგ სხვა (ახალ) გარემოებაზე იმსჯელონ. შესაბამისად, შეფასებაზე გავლენა არ მოუხდენია.*

რეკომენდაციის ფორმულირება დაზუსტდა შემდეგი სახით: *მიზანშეწონილია, კურიკულუმის ერთ-ერთი ნაწილის, კერძოდ, პროგრამის ქართულენოვანი კონცენტრაციის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსებისთვის დადგენილ კრედიტებთან (40 კრედიტი) დაკავშირებულ ჩანაწერსა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ „ძირითადი სწავლის*

სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსების“ კრედიტების მაჩვენებელს შორის არსებული წინააღდეგობა აღმოიფხვრას, ასევე, კონცენტრაციების გამოყენების სპეციფიკა (არჩევითობისა და პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის არანაკლებ 50%-ის გათვალისწინების წესები) დაცული იყოს. პროგრამის სტრუქტურა ჩამოყალიბდეს ისე, რომ იყოს მარტივად აღქმადი.

კომპონენტი 2.3.

- სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული თემების გადაფარვის პრობლემა აღმოიფხვრას.

კომპონენტი 2.4.

- გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში.

კომპონენტი 4.2.

- უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება - შენარჩუნებაზე, პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

კომპონენტი 5.1.

- **რეკომენდებულია, რამდენიმე დოკუმენტის** (უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1), უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1), უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1) **ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანა** ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია: *უნივერსიტეტმა EP-QA 1.1 - პოლიტიკის შემადგენელ კომპონენტში დანართი 4-EP-QA 1.1 - პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია განახორციელა ცვლილებები და მოიყვანა ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში, რაც განხილული იყო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე (დადგენილება 39 20/21, 15.07.2021).*
https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi?task=document.viewdoc&id=1173
პროგრამის აკრედიტაციაზე წარმოდგენის დროს დანართების გადამოწმებისას დაშვეულ იქნა შეცდომა, კერძოდ, არ მოხდა ხარისხის პოლიტიკების ფაილში განახლებული დოკუმენტების ჩანაცვლება.

ექსპერტთა პოზიცია: *ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული ბმული, სადაც წარმოდგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის დადგენილება №39(20/21)*

„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების პოლიტიკებში ცვლილებების შეტანის შესახებ“. ექსპერტებს არ ჰქონდათ წვდომა უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ დანართებზე (დანართი 4.1-EP-QA 1.1. კურიკულუმის ფორმა; დანართი 4.2- EP-QA 1.1. სასწავლო გეგმები; დანართი 4.3- EP-QA 1.1. სილაბუსის ფორმა; დანართი 4-EP-QA 1.1. პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია), რათა გაცნობოდნენ განხორციელებულ ცვლილებებს. რეკომენდაციის სტატუსის შეცვლას ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს, ვინაიდან იხელმძღვანელეს დაწესებულების მიერ ვიზიტამდე და ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტებით,

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი 2.1.

- სასურველია, დაწესებულებამ კურიკულუმში გაითვალისწინოს პროგრამაზე სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის ზოგადი პირობა/წესი.

კომპონენტი 2.3.

- გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები სასწავლო კურსების სილაბუსებში, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში; განხორციელდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის დახვეწა-შევსება.

- სასურველია, მეტი სიცხადისთვის სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა).

- გადაიხედოს სილაბუსი: პედაგოგიური პრაქტიკა“. დაზუსტდეს 1-3 ლექციის თემის სახელწოდება. 9-16 კვირაში დაკონკრეტდეს სტუდენტის აქტივობა.

- სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილი „სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები“ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ ჩანაწერებთან.

- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსის თემატიკაში მითითებული „საკანონმდებლო ბაზა“ განსაზღვრულ იქნეს სავალდებულო ლიტერატურაში (სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა).

- სასურველია სასწავლო კურსის „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ სილაბუსში გამოსაყენებელ ლიტერატურაში აისახოს ა. ვულფოლკის 2009 წელს გამოცემული ქართულენოვანი თარგმანი „განათლების ფსიქოლოგია“.

კომპონენტი 2.5.

- რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნებასა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელ

მეთოდებზე (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვა) მეტი ყურადღების გამახვილება, ასევე, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში გასწორდეს სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობა.

კომპონენტი 3.2.

- სასურველია, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკურ გაფორმებას და კვლევით კომპონენტს; განხორციელდეს საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომების პუბლიკაცია.

კომპონენტი 4.2.

- სასურველია პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად პირადი მონაცემების მუდმივად განახლება.

კომპონენტი 4.4.

- სასურველია, ბიუჯეტის დოკუმენტში უფრო დეტალურად აისახოს კონკრეტული აქტივობები, დეფიციტურობისას კი - პროგრამის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

კომპონენტი 5.1.

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში, მე-5 სტანდარტის „ძლიერი და გასაუმჯობესებელ მხარეების“ შეფასებისას გაწერილია, რომ გასაუმჯობესებელი მხარეები არ არის სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ვინაიდან დაწესებულება “ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს” (PDCA) იყენებს, სასურველია გადაიხედოს აღნიშნული საკითხი ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტში.

კომპონენტი 5.3.

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი, შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - უცხოელი პროფესორების ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.
  - აფილირებული პერსონალის წახალისების მექანიზმების (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი) არსებობა და გამოყენება პრაქტიკაში.
  - თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული საბიბლიოთეკო ფონდი.
  - პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. სტუდენტთა გასვლა ლაგულას (იტალია) უნივერსიტეტში.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ეყრდნობა შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახულ მიზნებს და ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციას, რაც უნდა გამოუმუშავდეს სტუდენტს სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ. პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს ინჟინერიის მაგისტრი, რომელსაც ექნება საინჟინრო დისციპლინების და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამის სპეციალიზაციებში თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რათა წარმართოს მრავალმხრივი, კომპლექსური და რთული საქმიანობა. იმუშაოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულს შეეძლოს ცვალებად გარემოში სწრაფი ადაპტირება და შესაბამისი სწორი გადაწყვეტების მიღება. პრაქტიკული ცოდნის მნიშვნელოვნება ხაზგასმულია და გათვალისწინებულია სწავლის პროცესში. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულები ფართოდ იყენებენ თავის საქმიანობაში მიღებულ ცოდნას. ასევე პროგრამის მიზნები სრულად შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს. დამსაქმებელთა მხრიდან გაჟღერებული მოთხოვნების ასახვა და მათი სწავლის პროცესში ადაპტირება პროგრამის მნიშვნელოვან დადებით მხარეს წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის კონცეფცია ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და მისიას. პროგრამა თავისი სტრუქტურით და შინაარსით ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მშენებლობის ინჟინერიის სფეროში ღრმა განათლებაზე დაფუძნებულ და ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული ცოდნის მიცემაზე. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“.

- თვითშეფასების ანგარიში.
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=329&Itemid=288&lang=en
- ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა.
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.
http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=329&Itemid=288&lang=en
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის“ სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და დეტალურად აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას რომელსაც შეიძენს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და დადგენილია მათი ლოგიკური

ურთიერთკავშირი, გარდა ზემოთ მოხსენიებული პროგრამის მიზნისა.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვა, შეფასება და ანალიზი, რაც თავის მხრივ ექვემდებარება პერიოდულ მონიტორინგს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ გასაუმჯობესებელ მხარედ განსაზღვრა პროგრამის განხორციელების პროცესში სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის მეთოდების დახვეწა გარე ექსპერტების ჩართულობით. პროგრამის შემადგენელ თითოეულ სასწავლო კურსში, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრულია მოსალოდნელი სწავლის შედეგები და გაწერილია მათი შეფასების მექანიზმები.
პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც აღწერილია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმები, რომლებიც თავის მხრივ ითვალისწინებს მშენებლობის დარგის სპეციფიკას. დაწესებულებაში გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები. პროცესში ჩართულია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისე შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განსაზღვრა. გარდა ამისა, მუდმივად ხდება შრომის ბაზრის ტენდენციების, დამსაქმებელთა მოთხოვნების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნების დაზუსტება და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფა არსებულ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“.
- პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა.
- სამაგისტრო პროგრამების დებულება.
- ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის სტუდენტებთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან.
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- „საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა“. (აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18)).
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.
- მშენებლობის სამაგისტრო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

• შრომის ბაზრის კვლევა. • „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია“. დანართი 4-EP-QA 1.1
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე სწავლა შეუძლია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საერთო სამაგისტრო გამოცდის დებულებისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად მოიპოვა უფლება, ისწავლოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულია სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობები:** - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; - საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; - სპეციალობაში შიდა საუნივერსიტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. სპეციალობაში გამოცდა ითვალისიწნებს აპლიკანტისთვის დარგის ცოდნის დონის შემოწმებას. გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ბილეთი მოიცავს 4 საკითხს. - ინგლისურენოვანი კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში ინგლისურ ენაში B2 დონის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება. გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება აწსუ-ს ვებგვერდზე (www.atsu.edu.ge) გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. ამასთან, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება N10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“ დადგენილება (№12 (17/18)). აქვე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“ დადგენილების (№12 (17/18)) მე-5

მუხლში განსაზღვრულია საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობები. ჩანს კურიკულუმში პროგრამაზე სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის ზოგადი წესის ასახვის საჭიროება. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამაზე დაშვების პირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“. ○ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის დადგენილება №12 (17/18) „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“. ○ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის No10/ნ ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.atsu.edu.ge. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, დაწესებულებამ კურიკულუმში გაითვალისწინოს პროგრამაზე სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის ზოგადი პირობა/წესი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ■ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA“ (აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება №49 (17/18)). „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში“ განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით: - EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა; - EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა; - EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა. **საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1.)** ემსახურება ახალი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების განხორციელების გზების, ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას. **საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2)** აღწერს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელ აქტივობებს/ღონისძიებებს, ასევე შეფასებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორსა და კრიტერიუმებს. პროცედურის განხორციელებით მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3)** განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათი განხორციელების გზებსა და პასუხისმგებელ პირებს, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და ამ ცვლილებების დამტკიცების სამუშაოებს. ამავე დროს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია“ (დანართი 4-EP-QA 1.1), სადაც განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები: კურიკულუმის სტრუქტურა, პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლების ენა, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგი, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებ, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსის სილაბუსის სტრუქტურა, ადამიანური რესურსები.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსებს.

-ორ კონცენტრაციას:

1. კონცენტრაცია - სამშენებლო კონსტრუქციები (ინგლისურენოვანი)

2. კონცენტრაცია - საავტომობილო გზები (ქართულენოვანი)

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსებს.

მაგისტრანტებს სწავლების პირველ წელს აქვთ საშუალება საკუთარი ინტერესების მიხედვით აირჩიონ საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული ორი კონცენტრაციიდან ერთ-ერთი. ინგლისურენოვანი კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტი სწავლების პირველ წელს გაემგზავრება ლაგულას (იტალია) უნივერსიტეტში, სადაც შეისწავლის 60 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსებს. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლაგულას უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა ეფუძნება მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად

1. **ინგლისურენოვანი კონცენტრაციისთვის:**

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - **60 კრედიტი.**

-კონცენტრაცია - სამშენებლო კონსტრუქციები (ინგლისურენოვანი) - **18 კრედიტი.**

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები:

ინგლისურენოვანი კონცენტაციისათვის **21+21 კრედიტი.** (I და II სემესტრი ჯამში 42 კრედიტი).

2.ქართულენოვანი კონცენტრაციისთვის:

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - **80 კრედიტი.**

-კონცენტრაცია - საავტომობილო გზები (ქართულენოვანი) – **20 კრედიტი.**

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები:

ქართულენოვანი კონცენტრაციებისთვის **20 კრედიტი.**

აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის „პროგრამის სტრუქტურის ჩანაწერებში“ განსაზღვრულია კრედიტების შემდეგი განაწილება:

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი.

-ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები (ქართულენოვანი კონცენტერციებისათვის) - 40 კრედიტი (ინგლისურენოვანი - 42 კრედიტი) (I, II სემესტრი)“.

სასწავლო გეგმაში „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსების“ კრედიტების მაჩვენებელი სემესტრების მიხედვით განსაზღვრულია შემდეგნაირად: 1 სემესტრი - 10 კრედიტი, მეორე სემესტრი - 10 კრედიტი, მესამე სემესტრი

30 კრედიტი, მეოთხე სემესტრი - 30 კრედიტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები, ნაცვლად 60 კრედიტისა, იქნება 80 კრედიტი ქართულენოვანი კონცენტრაციისთვის, რომელიც ცვლის „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების“ ჩანაწერებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ინგლისურენოვანი კონცენტრაციის ფარგლებში, პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს, რაც გამორიცხავს არჩევითობის პირობას.

ამასთან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების თანახმად, თითოეული კონცენტრაციისათვის უნდა იყოს განსაზღვრული სწავლის შედეგები, რომელთაც წვლილი უნდა შეჰქონდეთ უშუალოდ პროგრამის სწავლის შედეგებში. ესეც მიზანშეწონილია, წარმოდგენილი იყოს კონკრეტული კონცენტრაციების მიხედვით. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს. მოცემულ შემთხვევაში სხვა დოკუმენტებშიც უნდა ასახულიყო ნათლად კონცენტრაციების შესაბამისი სწავლის შედეგები. ამასთან, კონცენტრაციების არჩევითობის პრინციპი ვერ იქნება სათანადოდ დაცული, როცა აუცილებელია სხვა კონცენტრაციების გამოყენება მაგისტრატურის პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების დასაგროვებლად. არჩევითი მოცემულ შემთხვევაში „სავალდებულო“ ხასიათს შეიძენს. აქედან გამომდინარე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რელევანტურია ინტერვიუმდე და ინტერვიუს დროს ორი კოცენტრაციის ფარგლებში არსებული გარემოებებით ხელმძღვანელობა, ასევე, სხვა დოკუმენტაციის უკვე დადგენილ გარემოებებსა და შესწავლილ მასალასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო კურსებად პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა: ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი, სამეცნიერო წერის საფუძვლები, სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ტექნიკური თარგმანი, ნაგებობების დინამიკა, ძაბვები და დეფორმაციები შენადუღ კონსტრუქციებში, სამაგისტრო ნაშრომი, ნაგებობების დინამიკა, ძაბვები და დეფორმაციები შენადუღ კონსტრუქციებში, ლითონის კონსტრუქციები, ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები.

მაგისტრანტებს სწავლების პირველ წელს აქვთ საშუალება, საკუთარი ინტერესების მიხედვით, აირჩიონ საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული ორი კონცენტრა-ციიდან ერთ-ერთი.

- **„სამშენებლო კონსტრუქციების“ ინგლისურენოვანი კონცენტრაციის** არჩევისას, სტუდენტებმა ინგლისურ ენაში დამატებით უნდა ჩააბარონ B2 დონის შიგა საუნივერსიტეტო გამოცდა. აღნიშნული კონცენტრაციით განსაზღვრულ სასწავლო კურსებს მაგისტრანტები საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორ ლაგულას უნივერსიტეტში (იტალია) სწავლების პირველ წელს. აღნიშნული კონცენტრაციის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ორ სავალდებულო სასწავლო კურსს - Continuum Mechanics: solid and fluids, Computational Structural Mechanics. აწსუ-ს და ლაგულას უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, პროგრამაში შეთავაზებულია ინგლისურენოვანი კონცენტრაცია 8

სასწავლო კურსით (60 კრედიტი), რომელსაც გაუძღვებიან პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის პროფესორები.

- **„საავტომობილო გზების“ კონცენტრაცია** სტუდენტებს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა - საგზაო სამშენებლო მასალები, საგზაო მანქანები, საავტომობილო გზების პროექტირება.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ საშუალება შეარჩიონ **ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი შემდეგი არჩევითი კურსები** - მათემატიკის სპეციალური თავები, თეორიული მექანიკის სპეციალური თავები, მათემატიკური მოდელირება საინჟინრო საქმეში, კომპიუტერული მოდელირება მშენებლობაში, პედაგოგიური ფსიქოლოგია, პედაგოგიური ფსიქოლოგია, საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია, წინასწარდაძაბული რკინაბეტონი, მშენებლობის ლოგისტიკა, პედაგოგიური პრაქტიკა, მშენებლობის მენეჯმენტი, საავტომობილო გზების მშენებლობა რთულ გეოლოგიურ და კლიმატურ პირობებში, Timber Engineering, Stability and bifurcation of Structures, Mechanics of Plates and Shells, Discrete and Continuum Models in Mechanics, Advanced Open Channel Flow and Hydraulic Structures, English as foreignlanguage.

პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები).
- პროგრამის მიზნები.
- სწავლის შედეგები.
- სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.
- პროგრამის სტრუქტურა.
- დასაქმების სფეროები.
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.
- სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები.
- სასწავლო გეგმა.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“;
- კურიკულუმი;
- სასწავლო გეგმა;
- სამაგისტრო პროგრამების დებულება;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი atsu.edu.ge;
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ინტერვიუს შედეგები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია,

2018 წლის 9 თებერვლის N49(17/18) დადგენილება.
რეკომენდაციები: - მიზანშეწონილია, კურიკულუმის ერთ-ერთი ნაწილის, კერძოდ, „პროგრამის ქართულენოვანი კონცენტრაციის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსებისთვის დადგენილ კრედიტებთან (40 კრედიტი) დაკავშირებულ ჩანაწერსა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსების“ კრედიტების მაჩვენებელს შორის არსებული წინააღდეგობა აღმოიფხვრას, კონცენტრაციების არჩევითობის სპეციფიკა დაცული იყოს. პროგრამის სტრუქტურა გაიწეროს ისე, რომ იყოს მარტივად აღქმადი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სილაბუსები შემუშავებულია ინსტრუქციის (დანართი 4.3- EP-QA 1.1) შესაბამისად. სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შემდეგი

პუნქტები:

- სასწავლო კურსის დასახელება;
- სილაბუსის ავტორი/ავტორები;
- სასწავლო კურსის კოდი;
- სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სემესტრი;
- სასწავლო კურსის სტატუსი (ძირითადი, არჩევითი);
- სწავლების ენა;
- სილაბუსის ავტორი, საკონტაქტო ინფორმაცია;
- აუდიტორიის ნომერი;
- დამატებითი კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია;
- სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა;
- სასწავლო კურსის მიზანი;
- სასწავლო კურსის ფორმატი;
- სწავლის შედეგი, კომპეტენციების ჩამონათვალი;
- სწავლება/სწავლის მეთოდები;
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები;
- სავალდებულო ლიტერატურა;
- დამატებითი ლიტერატურა;
- კურსის შინაარსი.

სასწავლო კურსების სილაბუსებში ნათლად უნდა ჩანდეს ასახსნელი საკითხები (სალექციო თემები). ეს, პირველ რიგში, ხელს შეუწყობდა სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, გაამარტივებდა გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მოცულობის რელევანტურობის დადგენას.

ამავე დროს, კარგი იქნება, თუ ზოგიერთი სასწავლო კურსის („საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია“, „სამეცნიერო წერა“, „ნაგებობების დინამიკა“, „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ და სხვა) სილაბუსების შინაარსში ნათლად აისახება ჯერ განსახილველი თემის სათაური, შემდეგ კი ამ დასათაურების ქვეშ - ასახსნელი საკითხის მოკლე სტრუქტურა (აღწერა).

ამასთან, იკვეთება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის შეუსაბამობა. მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით არაა გათვალისწინებული რეცენზენტის ინსტიტუტი, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში რეცენზენტის მექანიზმი ჩადებულია. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი არის საუნივერსიტეტო, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი კონკრეტულად ამ პროგრამაზე გამოიყენება. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არაა წყაროების მითითების წესი, პლაგიატის ნიშნების არსებობის შედეგები, 51 ქულაზე ნაკლები შეფასების სამართლებრივი შედეგები. ეს მეორე დოკუმენტით გარკვეულწილად გათვალისწინებულია. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში მითითებულია სამაგისტრო ნაშრომის მიზანი „კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზების მოძიება, კვლევის დამოუკიდებლად წარმოება უახლესი მიდგომების დახმარებით.“ სამაგისტრო

ნაშრომის სილაბუსით დადგენილი ნაშრომის მიზნები უნდა მიესადაგოს სამაგისტრო საფეხურს. ინტერვიუს დროს გამოითქვა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის უფრო დეტალიზებისა და ამ საკითხების შევსების მზაობა.

აღსანიშნავია, რომ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში არის გარკვეული უზუსტობები:

ა. გათვალისწინებულია, რომ რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის არსებობისას თუ მეორე რეცენზენტმა შეაფასა დადებითად, სამაგისტრო ნაშრომი დაიშვება საჯარო დაცვაზე. <u>**მიზანშეწონილია მსგავს შემთხვევაში მე-3 რეცენზენტის მექანიზმის ამოქმედება, რომელიც იქნება გადამწყვეტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისთვის;**</u>

ბ. გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები. მაგალითად, შესაცვლელია ტერმინები „დისერტაცია“, „დისერტანტი“ და სხვა, რაც მაგისტრატურის საფეხურზე არ გამოიყენება. <u>პლაგიატის დონის დასაშვები მაჩვენებელი და მისი კატეგორიზაცია დაზუსტებას საჭიროებს. ტექნიკური ხარვეზი გასასწორებელია და სიტყვა „პლაგიატი“ შესაცვლელია. მნიშვნელოვანია პლაგიატზე ინფორმირებულობა გაიზარდოს. ამასთან, აქვე მითითებულია, რომ პლაგიატის არსებობისას „მაგისტრანტს ენიჭება უფლება, მომდევნო სემესტრში წარადგინოს გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი დაცვაზე.“ ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ მაგისტრატურის პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღებისას მაგისტრანტი კარგავს იმავე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. აქედან გამომდინარე, ამ მოთხოვნას უნდა პასუხობდეს „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესიც.“</u>

საგნის „პედაგოგიური პრაქტიკა“ სილაბუსის შინაარსი ძალიან ზოგადი და მწირია (სულ 2-3 საკითხია მითითებული), არ ჩანს სავალდებულო ლიტერატურა. ამასთან, ცალკე გვხვდება საგანი „პედაგოგიური ფსილოქოგია“. თუ არის კურსის „პედაგოგიური პრაქტიკის“ არსებობის აუცილებლობა, მაშინ აუცილებელია სილაბუსის შინაარსიდანაც ეს ნათლად ირკვეოდეს ან მასში ინტეგრირებულ იქნეს „პედაგოგიური ფსიქოლოგია“.

ამასთან, გვხვდება გადაფარვის პრობლემა: სასწავლო კურსის „სამეცნიერო წერა“ სილაბუსით გათვალისწინებულია ლიტერატურასთან მუშაობა, გამოყენებული წყაროების კრიტიკული ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა, ლიტერატურასთან მუშაობის მეთოდები, ბიბლიოგრაფიის შედგენის წესები, სათაურის შერჩევა, სარჩევის შედგენის წესი და სხვა. კურსის „კვლევითი პრაქტიკა“ სილაბუსით წარმოდგენილია შემდეგ საკითხები: ლიტერუტურული მიმოხილვა, კვლევის მეთოდების შერჩევა და პროცესის დაგეგმვა, კვლევითი ნაშრომის გაფორმება. ორივე სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით გვხვდება და ორივე მესამე სემესტრში ისწავლება. ამასთან, „კვლევითი პრაქტიკის“ სილაბუსის შინაარსი მწირია. <u>აუცილებელია ამ საგნების თემატიკის გადაფარვის აღმოფხვრა ან „კვლევითი პრაქტიკის“ ინტეგრირება „სამეცნიერო წერის“ სილაბუსში.</u>

საგნის „სამეცნიერო წერა“ რამდენიმეჯერ მეორდება საკითხები: ლიტერატურასთან მუშაობა, წყაროების კრიტიკული ანალიზი (მე-9 კვირა) და ლიტერატურული მიმოხილვა (მე-10 კვირა), ასევე, მოხსენების კრიტიკა და კრიტიკის ანალიზი (მე-6 კვირა). ამავე საგანში მე-10 კვირას გათვალისწინებულია „ლიტერატურული მიმოხილვა და ნაშრომის

ბიბლიოგრაფიის შედგენის წესები“, მე-11 კვირას კი - „ციტირების წესი და ნორმები, პერიფრაზირება და კონცეფციების ჩამოყალიბება“.
ჩანს, რომ საგნის „სამეცნიერო წერის“ სილაბუსის შინაარსში ნათლად უნდა აისახოს: სამეცნიერო წერის არსი და სახეები (შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სამისტრო ნაშრომზე), წყაროთა ციტირების წესი და სტილი (ამ ფარგლებში აქცენტები უნდა გაკეთდეს ჩიკაგოს სტილზე, რადგან უნივერსიტეტში ამ სტილს იყენებენ). გარდა ამისა, სასურველია, ამავე საგნის სილაბუსში აისახოს სამეცნიერო ნაშრომის შესავლისა და პრობლემის დასმისა ჩამოყალიბების თავისებურებები.

მნიშვნელოვანი იქნება, თუ სასწავლო კურსის „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ სილაბუსში გამოსაყენებელ ლიტერატურაში აისახება ა. ვულფოლკის 2009 წელს გამოცემული ქართულენოვანი თარგმანი „განათლების ფსიქოლოგია“.

<u>გადასახედია ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსები ავტორთა მიერ. დაშვებულია სხვადასხვა სახის ტექნიკური უზუსტობები/ხარვეზები, დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია მოსასვლელი სასწავლო გეგმის ჩანაწერებთან.</u>

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნულ კომპონენტში დადგინდა მეტწილი შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“.
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი.
- თვითშეფასების ანგარიში.
- „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - EP-QA“, აწსუ 2018 წლის 9 თებერვალი, №49 (17/18)
- აწსუ ბიბლიოთეკა . http://www.atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=508&Itemid=762&lang=en
- ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტთან.
- ინტერვიურების შედეგები.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული თემების გადაფარვის პრობლემა აღმოიფხვრას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები სასწავლო კურსების სილაბუსებში, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში; ასევე, განხორციელდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის დახვეწა-შევსება.
- სასურველია, მეტი სიცხადისთვის სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა).
- სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილი „სასწავლო კურსზე დაშვების

წინაპირობები“ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ ჩანაწერებთან. - სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსის თემატიკაში მითითებული „საკანონმდებლო ბაზა“ განსაზღვრულ იქნეს სავალდებულო ლიტერატურაში (სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა). - სასურველია სასწავლო კურსის „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ სილაბუსში გამოსაყენებელ ლიტერატურაში აისახება ა. ვულფოლკის 2009 წელს გამოცემული ქართულენოვანი თარგმანი „განათლების ფსიქოლოგია“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **<u>▉ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისათვის პროგრამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები. პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, რომლებიც ტარდება უნივერსიტეტის ბაზაზე, სტუდენტებს ხელმძღვანელობენ და ზედამხედველობას უწევენ კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები და ლაბორანტები, დარგის სპეციალისტები. აღნიშნული დასტურდება მათი პირადი საქმეების შემოწმებით. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები

სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სადაც საჭიროების შემთხვევაში გაივლიან კვლევით პრაქტიკას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გამოკითხვების შედეგების განზოგადებული მონაცემების მიხედვით დგინდება, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 14 % ჩართულნი არიან კულტურულ აქტივობებში, 24 % შემეცნებით აქტივობებში (ბრეინ-რინგი; რა? სად? როდის?), სოციალურ პროექტებში, სამეცნიერო მუშაობაში. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სტუდენტურ კონფერენციებში, სადაც ახდენენ სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგების წარდგენას. ინტერვიურებისას ლაგულას (იტალია) უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 2020 წელს, აწსუ-თან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ორი სტუდენტი იმყოფებოდა სასწავლებლად, წელს ერთი სტუდენტი გაემგზავრა. სტუდენტთა სრულ დაფინანებას ახდენს პარტნიორი უნივერსიტეტი. მათ აღნიშნეს, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შეუძლიათ 6 - 10 სტუდენტის მიღება ყოველწლიურად. მომავალში იგეგმება ერთობლივი კონფერენციის მოწყობა. ინტერვიურებისას საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროფესორები იზრუნებენ სტუდენტთა ჩართვას სხვადასხვა საგრანტო და კვლევით პროექტებში. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში გასაუმჯობესებელ მხარედ განსაზღვრულია სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა. დაწესებულება გეგმავს შიდა საგრანტო პროექტების განხორციელებას, ლაბორატორიების განახლებას. **ექსპერტთა აზრით, პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა. ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დარგის ორგანიზაციებთან. ○ სტუდენტების სამეცნიერო და სოციალური აქტივობები; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; ○ ინტერვიურების შედეგები დაწესებულების წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან; ○ ინტერვიურების შედეგები ლაგულას უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან; ○ ხელშეკრულება ლაგულას უნივერსიტეტთან.
რეკომენდაციები: - გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. სტუდენტთა გასვლა ლაგულას (იტალია) უნივერსიტეტში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **▉ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კურიკულიმში გაწერილია სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული, ლაბორატორიული, პრაქტიკა, პროექტი, კონსულტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): - დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ანალიზის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ახსნა-განმარტებითი, დემონსტრირების მეთოდი. რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში („მათემატიკის სპეციალური თავები“, „კონსტრუქციების ტექნიკური ექსპერტიზა“, „საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია“, „კონსტრუქციების მდგრადობა და ბიფურკაცია“, „ფირფიტებისა და

გარსების მექანიკა“) სწავლება-სწავლის მეთოდთაგან მითითებულია „პრაქტიკული მეთოდი“. როგორც ინტერვიუს დროს დადგინდა, მასში მოიაზრებენ პრაქტიკული შემთხვევის განხილვას. თუმცა რამდენიმე საგნის („წინასწარდაძაბული რკინაბეტონი“, „კონსტრუქციების მდგრადობა და ბიფურკაცია“, „ფირფიტებისა და გარსების მექანიკა“ და სხვა) სილაბუსში გვხვდება როგორც „შემთხვევის ანალიზის“, ისე „პრაქტიკული შემთხვევის განხილვის“ მეთოდი. ინტერვიუზე გამოითქვა, რომ ისინი ანალოგიური შინაარსით გამოიყენება და ამ დეტალის გასწორების მზაობა არსებობს. მნიშვნელოვანია ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება. მაგალითად, საგნის „მშენებლობის ლოჯისტიკა“ სწავლება-სწავლის მეთოდებად დასახელებულია ვერბალური, დისკუსია, კვლევითი, პრაქტიკული სიტუაციების ანალიზი, სასწავლო კურსის „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ სწავლება-სწავლის მეთოდებად - ვერბალური, დისკუსია, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირება, ასევე დისციპლინის „კონსტრუქციების ტექნიკური ექსპერტიზა“ სილაბუსში გათვალისწინებულია ვერბალური, დემონსტრირება, ახსნა-განმარტებითი, პრაქტიკული და წიგნზე მუშაობის მეთოდი, საგნის „ლითონის კონსტრუქციები“ მეთოდებია: ვერბალური, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება და წიგნზე მუშაობა. აშკარაა ამ სასწავლო დისციპლინებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნება და ისეთი მეთოდების გამოყენებაც, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, სოკრატესეული მეთოდი, გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია და სხვა. ჩანს, რომ უფრო მეტი ყურადღებაა გასამახვილებელი იმ მეთოდებზე, რომლებიც ანალიტიკური უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს, მით უფრო, მაგისტრატურის საფეხურზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“. ○ სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები. ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები. ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნებასა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელ მეთოდებზე (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვა) მეტი ყურადღების გამახვილება. • რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში გასწორდეს სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ■ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სტუდენტთა შეფასების სისტემა, საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსები) შესწავლისას დადგინდა, რომ შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია. ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. სასწავლო კურსების სილაბუსებში, დადგენილია სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოპოვების პირობა, კერძოდ, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის მინიმალური კომპეტენცია შუალედური შეფასებების მიხედვით შეადგენს არანაკლებ 18 ქულას. დასკვნით გამოცდაზე 21 ქულაზე ნაკლები შეფასების მქონე სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, შეფასდეს FX–ით (ვერ ჩააბარა)". სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) - 0 ქულა. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს) - არა უმეტეს 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყობით შეფასებას, კერძოდ:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

ამასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“. დოკუმენტის მე-8 და მე-9 მუხლებში მოცემულია „სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები“ და „სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების პირობები“ (აპელაცია).

„სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის“ მე-8 მუხლის (სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები) მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც მაგისტრანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. შეფასება ხდება კომისიის მიერ ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით და გამოყენებული იქნება შედეგის შეფასებისათვის რელევანტური მეთოდები და კრიტერიუმები. დაცვის კომისია ნაშრომს აფასებს 100 ქულით. შეფასება არის კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ასახულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება დასტურდება შესაბამისი ოქმის გაფორმებით, რომელიც შემუშავებულია დაწესებულების მიერ. სამაგისტრო ნაშრომები ინახება შესაბამის დეპარტამენტში 5 წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომ ექვემდებარება დაარქივებას აწსუ-ში დადგენილი წესის მიხედვით.

აღნიშვნის ღირსია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების

გასაჩივრების მექანიზმი („სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის“ მე-9 მუხლი). საქმე ისაა, რომ მაგისტრანტს შეუძლია, ნაშრომის შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს 5 დღისა შეიტანოს დასაბუთებული განაცხადი აპელაციაზე. თუ სააპელაციო განაცხადი არის დასაბუთებული, განაცხადი გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ქმნის სააპელაციო კომისიას. სააპელაციო კომისიაში კომპლექტდება პროგრამის განმახორციელებელი არანაკლებ სამი პირისგან, რომელთაგანაც არც ერთს არ მიუღია მაგისტრანტის პირველად შეფასებაში მონაწილეობა. დაუშვებელია, რომ ამ კომისიის წევრები იყვნენ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი. სააპელაციო კომისია იღებს შემდეგი ტიპის გადაწყვეტილებას: (ა) სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაზე დაბრუნებისა და ხელახალი განხილვის შესახებ; (ბ) მიღებული შეფასების დატოვების ან (გ) უსაფუძვლობისას სააპელაციო განაცხადის განუხილველად დატოვების თაობაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათ-ლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების აპელაციის წესი“. დოკუმენტში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები - გამოცდების ჩატარებისათვის მზადება (მუხლი 2), შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარება (მუხლი 3), სტუდენტის გამოცდაზე გამოცხადება (მუხლი 4), შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის უფლება-მოვალეობები (მუხლი 5), სტუდენტის გამოცდაზე გამოუცხადებლობა (მუხლი 6), გამოცდის შედეგების აპელაცია, შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე დაშვება და გამოცხადება.

მაგისტრატურის სტუდენტების შეფასება ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანია. თითოეული სასწავლო კურსის სფეციფიკიდან გამომდინარე ხდება შეფასების ფორმების დადგენა. სტუდენტები წინასწარ არიან ინფორმირებულნი შეფასების სისტემის მექანიზმის შესახებ. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ასევე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ამ უწყისის დახმარებით დაუკავშირდეს ლექტორს და მიიღონ ინფორმაცია საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ეფექტური და გამჭვირვალეა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №5 (17/18) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი“;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №(17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების აპელაციის წესი

დამტკიცდეს თანდართული ფორმით „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“; ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ სამაგისტრო პროგრამების დებულება; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი https://atsu.edu.ge/ ○ ინტერვიურების შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრატურის სტუდენტები დროულად იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციებსა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციებს. შესაბამისი სამსახურები და პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას აღნიშნული სტუდენტებისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. შედეგად სტუდენტები ჩართულები არიან სხვადასხვა კომპანიების სამუშაოებში. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე და ასევე სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალურად შეათანხმოს საკონსულტაციო საათები ლექტორებთან. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისების ერთ-ერთი მიმწოდებელი სტრუქტურა არის სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური. აღნიშნული სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანი არის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კონსულტირება და მხარდაჭერა. საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებული პროცედურები“ (აკად. საბჭოს დადგენილება №58 (17/18); 27.02.2018 წ). დოკუმენტის მე-4 მუხლში განსაზღვრულია სამსახურის პერსონალი, კერძოდ:- სამსახურის უფროსი, სტუდენტთა კარიერული განვითარების კოორდინატორი, ომბუდსმენი, სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი, სტუდენტთა განცხადების დამუშავების კოორდინატორი, სტუდენტთა განცხადების დამუშავების სპეციალისტი, სტუდენტთა ტუტორი. განსაზღვრულია სამსახურის მიმართულებები და ფუნქცია-მოვალეობები. განსაზღვრულია სტუდენტთა განცხადების მიღებისა და დამუშავების პროცედურა, პროცედუტის განხორციელების წესები და ვადები. შემუშავებულია სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითრების სერვისის პროცედურა, კურსდამთავრებულებთნ კავშირის დამყარების პროცედურა. შექმნილია ონლაინ პლატფორმა, სადაც ყველა კურსდამთავრებულს შეუძლია დარეგისტრირება. განსაზღვრულია ომბუდსმენის მომსახურების პროცედურა, სტუდენტთა ტუტორინგის სერვისის პროცედურა. ინტერვიურებისას კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ სწავლის დროს იყო ტუტორი და ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სტუდენტს სასურველი სერვისის და ინფორმაციის მისაღებად შეუძლია, მიმართოს

სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურს ან გამოიყენონ ელფოსტა 24-საათიან რეჟიმში. **ექსპერტთა შეფასებით, სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 თებერვლის №58 (17/18) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ხელშემწყობი სამსახურების დებულებები: https://atsu.edu.ge/ ○ სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური https://atsu.edu.ge/index.php/students-service-info
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ■ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მშენებლობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავს კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელები. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. ერთმა პროფესორ-მასწავლებელმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს.

სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის შესახებ მაგისტრანტი შესაბამისი განცხადებით მიმართავს პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის დეკანს. თითოეული მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი მტკიცდება ჯერ დეპარტამენტის და შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კვლევების თემატიკა შეირჩევა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების მიმართულებებიდან გამომდინარე, რეგიონისათვის აქტუალური ტექნიკური ხასიათის პრობლემების შესაბამისად.

სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და შეფასება ხდება საჯაროდ კომისიის წინაშე. სტუდენტს უფლება აქვს აპელაცია შეიტანოს და მოითხოვოს შეფასების გადახედვა (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემას შესაბამისი ფუნქციის გამოყენებით ან განცხადების შეტანით სტუდენტური სერვისების განყოფილებაში) და ახსნა-განმარტება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკურ გაფორმებას და კვლევით კომპონენტს; განხორციელდეს საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომების პუბლიკაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

[redacted] <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია მთლიანობაში პასუხობს მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და მოქმედ კანონმდებლობას. სამაგისტრო პროგრამის განახორციელებაში ჩართულია **სულ 3 პროფესორი, 11 ასოცირებული**

პროფესორი, 3 მოწვეული სპეციალისტი. ამდენად, პროგრამის განმახორციელებელი, ძირითადად, აკადემიური პერსონალია. ამ თვალსაზრისით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი დაცულია.

დგინდება, რომ რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელს საერთაშორისო საზღვარგარეთის წამყვან აკრედიტებულ უნივერსიტეტებში აქვს განათლება მიღებული. მათი ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

აღნიშვნის ღირსია ის, რომ **უნივერსიტეტსა და ლაგულას (იტალია) უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია ხელშეკრულ**ება, რომლის საფუძველზეც, **ევროპული პარტნიორი უნივერსიტეტის 6 პროფესორი** ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. განსაკუთრებით მდიდარია უცხოელი პროფესორების სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული გამოცდილება. მათი მონაწილეობა პროგრამის განხორციელებაში ხელს შეუწყობს როგორც ქართულ და ევროპულ მიდგომებს შორის შედარების გაკეთებას, ისე პროგრამის ევროპეიზაციას. ენობრივი ბარიერის დაძლევის მიზნით, პროგრამაში ჩაიდო დარგობრივი ინგლისური, ასევე, ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები და შესაძლებელი გახდა სამაგისტრო ნაშრომის ინგლისურ ენაზე დაცვა.

პერსონალის დატვირთვის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს:

- *სასწავლო-საკონტაქტო (აუდიტორიული მუშაობა);*
- *სასწავლო-მეთოდური (ნაშრომების შედგენა-გასწორება და შეფასება;*
- *ინდივიდუალური მუშაობა, კონსულტაცია, სასწავლო-ორგანიზაციული მუშაობა (დეპარტამენტის პროგრამული მიმართულების მართვა, მაგისტრანტის ხელმძღვანელობა და სხვ.);*
- *სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა (სამეცნიერო ნაშრომების შესრულება, გამოცემა, რედაქტირება, რეცენზირება, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენაში მონაწილეობა, სტუდენტთა მომზადება სამეცნიერო კონფერენციებისთვის და სხვა).*
- *სხვა აქტივობები (სხვადასხვა პროფესიულ სემინარსა და ტრენინგებში მონაწილეობა, სტაჟირება...).*

ამდენად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესის წარმართვას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას კი საფრთხე არ ექმნება, სწავლის შედეგები მიღწევადია. შესაბამისად, ამ ნაწილშიც პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური სპეციალისტი**, რომელსაც აქვს პროგრამის შემუშავებისთვის **აუცილებელი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება** შესაბისი მიმართულებით. 21 წელია, რაც პროგრამის ხელმძღვანელი მუშაობს უნივერსიტეტში. როგორც დოკუმენტაციიდან, ისე ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში, საუნივერსიტეტო ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესში. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციასაც და ჩართულია პროგრამის შეფასებაში, სტუდენტათა კონსულტირებაში. საინტერესოა მისი სამეცნიერო ნაშრომებიც, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესშიც. ამდენად, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, გამოცდილება და ორგანიზაციული ფუნქციების შესრულება სრულად პასუხობს

პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, ასევე, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში ცალკეა **გამოყოფილი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.** პროგრამის მიზნების განხორციელებასა და სტუდენტთა მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე, ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიებსა და კომპიუტერულ ცენტრებში მომუშავე დამხმარე პერსონალი. მათი ფუნქციები გათვალისწინებულია სამსახურების შესაბამისი დებულებებით და შეესაბამება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მისიას. ადამინისტრაციული და დამხმარე პერონალის უფლებამოსილებები ურთიერთგადაჯაჭვულია და ეხმარება სასწავლო პროცესის დახვეწა-გაუმჯობესებას. უნივერსიტეტში მოქმედებს **აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობების დაკავების წესი.** ამასთან, პროგრამას აქვს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელშიც მოიაზრება სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევითი, ასევე სხვა დატვირთვა, მათი ფუნქციების გათვალისწინებით. ის მოიცავს საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებს დაგეგმილი და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს იდენტიფიცირების გზით. ამდენად, უნივერსიტეტის აკადემიურ/სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ინფორმაცია (CV); ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები; ○ საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ○ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები“ (დანართი 2-EP-QA1.1); ○ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის N173 დადგენილება „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამაში დატვირთვა; ○ ფაკულტეტის თანამდებობრივი ინსტრუქციები (ინტერნეტგვერდი: https://atsu.edu.ge/index.php/teqnikuriadministracia ; ○ უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციები და ხელშეკრულების ნიმუშები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ; პერსონალის დატვირთვის განსაზღვრა-შესრულება) https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi/2017-2018 .
რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • უცხოელი პროფესორების ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი მასალის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს (ა) **ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებასა** და (ბ) **აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების შეფასებას სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის კრიტერიუმით**. როცა საქმე ეხება **ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემას,** აქ გამოიყენება სამსახურების მიერ განხორციელებული ყოველწლიური ანგარიში. კერძოდ, თითოეული სტრუქტურული ერთეული წელიწადში ერთხელ აგროვებს მონაცემებს, აფასებს თავისი საქმიანობის შედეგებს და შემუშავებულ ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში თანამშრომლების საქმიანობა ფასდება რაოდენობრივი და არაფორმალური ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით. **აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება** ეფუძნება სასწავლო და სამეცნიერო-

მეთოდური საქმიანობის კრიტერიუმებს. სასწავლო-მეთოდური მუშაობის შეფასების პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან ჩართულია ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე. საწყის ეტაპზე ხდება სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშის აღრიცხვა და შემოწმება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ. პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან მათთვის გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ანგარიში განიხილება დეპარტამენტის სხდომებზე, დეკანის მიერ და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე.

ამასთან, **აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება** გულისხმობს:

ა) წლიური დატვირთვების შესრულებას,

ბ) კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკასა და

გ) სტუდენტთა გამოკითხვებს.

სტუდენტური გამოკითხვები წარმოებს ყოველსემესტრულად. აკადემიური პერსონალის მიერ წარმართულ სასწავლო კურსთან დაკავშირებით ხდება სტუდენტთა გამოკითხვების ანალიზი, რომელსაც აწვდიან პროგრამის ხელმძღვანელს, დეპარტამენტებს და უშუალოდ პერსონალს.

აღსანიშნავია უნივერსიტეტში **მოქმედი კოლეგიალური ურთიერთდასწრების მექანიზმი**, რომელიც იძლევა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ შეფასებების გაკეთების შესაძლებლობას. ურთიერთდასწრების გზით ხდება გამოცდილების გაზიარება და ინფორმაციის გაცვლა. ფაქტობრივად კოლეგიალური ურთიერთდასწრება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფას, არსებული პროგრამების განახლება-გაუმჯობესებასა და სასწავლო გარემოს მუდმივ განვითარებას. ამავე დროს, პროფესიული განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტი იყენებს მხარდაჭერის შემდეგ ფორმებს:

ა. ტრენინგებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინებას;

ბ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების მოწყობას;

გ. ანაზღაურებად სამეცნიერ-შემოქმედებით შვებულებას;

დ. უცხო ენების შემსწავლელ კურსებს;

ე. უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება-ჩატარებას.

უნივერსიტეტში მოქმედებს **აკადემიური პერსონალის აფილირების წესი,** რომელიც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 22 ნოემბრის N133 დადგენილებით არის დამტკიცებული. ამ წესის მიხედვით, აფილირება განიხილება საკადრო პოლიტიკისა და პერსონალის მართვის შემადგენელ ნაწილად. მისი მიზანია შიდასაუნივერსიტეტო კონკურენტული აკადემიური გარემოს შექმნა, აკადემიური პერსონალის მოტივაციისა და აქტივობის გაზრდა. ასევე, ამავე დადგენილებით განსაზღვრულია აფილირებული პირის მიერ უნივერსიტეტის სახელით გამოსაცემად მომზადებული ნაშრომის (სახელმძღვანელოს, მეთოდური მასალის, სტატიის), საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისას შესაბამისი ხარჯების სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსება, აფილირებული პირის მიმართ წახალისების მექანიზმების (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი) გამოყენება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგენისას და სხვა.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებში, სემინარებსა და

სამეცნიერო ღონისძიებებში. მათი კვლევები ასახულია როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. აქვე საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს უცხო ენების შემწავლელი კურსები აკადემიური პერსონალის ენობრივი კომპეტენციების ამაღლების მიზნით, რითაც უნივერსიტეტი ცდილობს, მხარი დაუჭიროს პროფესორ-მასწავლებლებს.

რაც შეეხება უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასებას, ეს ხორციელდება მათი მუშაობის ანგარიშების, შიდა შეფასების ფარგლებში სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მეთოდების დახმარებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან სრულად არ ჩანდა, ვის ჰქონდა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა მიღებული და ვინ გაიარა პროფესიული კურსები კონკრეტული წლების მითითებით. გამოვითხოვეთ ეს მონაცემების დამაზუსტებელი სახით, თუმცა ამ და პერსონალის cv-ის საფუძველზე ირკვევა, რომ რამდენიმე შემთხვევაში აუცილებელია სამეცნიერო აქტივობებსა და პროფესიულ ტრენინგებზე აქცენტების გაკეთება. კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში 2015, 2016, 2017 წლის შემდეგ ჩანს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და პროფესიული კურსების თუ ტრენინგების გავლის ნაკლებობა ან არარსებობა.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ქვესტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმე;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/ .
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის კვლევითი პროფილი https://atsu.edu.ge/index.php/technical-educational-profile-geo)
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხუს-ის ანგარიშები.
- ურთიერთდასწრებისა და საუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- პერსონალის ტრენინგებში, სემინარებში, კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელის დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება - შენარჩუნებაზე, პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად პირადი მონაცემების მუდმივად განახლება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- აფილირებული პერსონალის წახალისების მექანიზმების (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი) არსებობა და გამოყენება პრაქტიკაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი აქტივობები ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიებში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტე-რულ ცენტრში, „მშენებლობისა და ტრანსპორტის“ დეპარტამენტის სასწავლო-საწარმოო და კვლევით ლაბორატორიებში. დისტანციური დათვალიერებით დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები არის თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი და სათანადო კეთილმოწყობილი. ამასთან, აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში წარმოდგენილია თვალსაჩინოებები, რომლებიც აადვილებს განსახილველი საკითხების ვიზუალურ აღქმას.

ექსპერტთა მიერ დისტანციური დათვალიერებისას შემოწმდა ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრები, ფაკულტეტის ლაბორატორიები, ასევე, უნივერსიტეტის ტექნოლოგიური კაბინეტ-ლაბორატორიები. გამოიკვეთა, რომ ეს ლაბორატორიები აღჭურვილია იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რომლებიც აუცილებელია სილაბუსებით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების განსახორციელებლად.

უნივერსიტეტში **სასწავლო-კვლევითი გარემო განახლებული და გაუმჯობესებულია.** უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ლიტერატურით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ფონდი, კომპიუტერული კლასები. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია

თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სახელმძღვანელოებისა და ელექტრონული ვერსიების სახით. ამასთან, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რომელთა ფარგლებშიც საჭიროებისამებრ სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს ისეთი ნაშრომები, რომელიც ტექნიკურ უნივერსიტეტში ინახება. უნივერსიტეტს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, გარდა ადგილობრივი ორგანიზაციებისა, უცხოურ უნივერსიტეტებთან, რაც მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. ასევე, ხელმისაწვდომია მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ელექტრონული ვერსიებიც. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, საბიბლიოთეკო ფონდი მუდმივად განახლებადია.

სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად **აუცილებელი მეთოდური მასალა და ლიტერატურა მთლიანობაში უზრუნველყოფს სწავლის შედეგებ**ის მიღწევას, ასევე, პასუხობს დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამით დადგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი ნაშრომები, რომლებიც დაცულია ბიბლიოთეკის ფონდის საცავში. ამასთან, ნაშრომთან ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. აქვე უდავოდ საყურადღებოა, რომ 2011 წლიდან უნივეტსიტეტში ჩაირთო ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის ელექტრონული კატალოგის (OPAC) მომსახურება. ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ ბაზებზე: http://search.epnet.com/ http://journals.cambridge.org/

უნივერსიტეტი ცდილობს, დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესისა და პროგრამის დაგეგვმას. ამ და ურთიერთობების გაფართოების მიზნით, **უნივერსიტეტმა გააფორმა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი** შესაბამისი პროფილის შემდეგ დარგობრივ საწარმოებთან:

ა) სამშენებლო კომპანია შპს „დაგი+“;

ბ) სამშენებლო კომპანია შპს „გზამშენი";

გ) სამშენებლო კომპანია შპს „აკორდი";

დ) სამშენებლო კომპანია შპს „საქმილსადენმშენი";

ე) სამშენებლო კომპანია შპს „ტობე“;

ვ) „საქართველოს გზების დეპარტამენტი“;

ზ) შპს „კარიბჭე“;

თ) შპს „დიზაინკომპლექსი“.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამონტაჟებულია ხელის დამუშავებისთვის აუცილებელი საშუალებები. უნივერსიტეტის რექტორს გამოცემული აქვს ბრძანება კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. ამ ბრძანებით სწავლა/სწავლების პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება სწავლების დისტანციური, შერეული და ჰიბრიდული ფორმები, რაც 2020 წლის 16 მარტიდან 2020 წლის 1 აპრილამდე საპილოტე რეჟიმში ხორციელდებოდა. ჩანს, რომ 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური პერსონალი ატარებს ლექციებს დისტანციურად სხვადასხვა ონლაინპლატფორმის (Microsoft teams, moodle) გამოყენებით, დეკანებს კი დაევალათ აკადემიური ჯგუფების მიხედვით ინფორმაციის მომზადება, სასწავლო პროცესში ჩართული პირებისთვის ინფორმაციის გადაცემა და პასუხისმგებელი პირის გამოყოფა აქტივობების მხარდაჭერის მიზნით. ამასთან, დადგენილია ვიდეოლექციების უნივერსიტეტის ონლაინსივრცეში განთავსების მიზანშეწონილობა,

ვიდეოლექციები კი სტუდენტებს აძლევთ მათი ნებისმიერ დროს ნახვის შესაძლებლობას. აქვე საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტში ხდება ჩატარებული ონლაინ- და ვიდეოლექციების ხარისხის მონიტორინგი. შემდეგ გამოიცა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 3 აპრილის N01-04/25 ბრძანება, რომლის მიხედვით, სასწავლო პროცესი გაგრძელდა 2020 წლის 1 აპრილიდან 2020 წლის 22 აპრილამდე ონლაინრეჟიმში, ფაკულტეტის დეკანებს კი მიეცათ დავალება, მაქსიმალურად გამოიყენონ უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული შესაძლებლობები (ტექნიკური და პროგრამული) სასწავლო პროცესის სრულყოფისთვის. უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 24 აპრილის N01-04/28 ბრძანებით სწავლების პროცესი დისტანციურ ფორმატში გაგრძელდა 2020 წლის 22 აპრილიდან 2020 წლის 22 მაისამდე. ამ ბრძანებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტის მულტიმედიურმა ლაბორატორიამ და ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააგრძელონ ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ვიდეორგოლების მომზადება, შესაბამის ვებგვერდზე განთავსება, პერსონალის ტექნიკური მხარდაჭერა და სხვა. ამასთან, უნივერსიტეტის რექტორმა 2021 წლის 14 სექტემბრის ბრძანებით განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დისტანციური სწავლების ფორმის გამოყენებით 2021 წლის 20 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე. დგინდება, რომ დაცულია ზოგადი კოვიდრეგულაციები.

ასევე, უნივერსიტეტში დამონტაჟებულია შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისთვის ე.წ. „პანდუსები.“

ექსპერტთა შეფასებით, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული სასწავლო გარემო, მემორანდუმებთან ერთად, მთლიანობაში იძლევა პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/;
- უნივერსიტეტის VII, IX კორპუსებში არსებული სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა (მატერიალურ-ტექნიკური რესურსები);
- ბიბლიოთეკის დებულება (დადგენილება №158; 2018 წლის 28 თებერვალი);
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი ფონდი;
- სამეცნიერო ბაზები/ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებასა და აწსუ-ში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისთვის დამატებით ღონისძიებებთან დაკავშირებით რექტორის 2020 წლის 11 მარტის N01-04/20 ბრძანებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ 2020 წლის 13 მარტის N01-04/21 ბრძანება;
- უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N01-04/106 ბრძანება („უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის ბრძანებაში N01-04/79 2020-2021

სასწავლო წლის დისტანციურ რეჟიმში წარმართვის შესახებ“); ○ უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 3 აპრილის N01-04/25 ბრძანება „საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების საფუძველზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის განხორციელების შესახებ“; ○ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 14 სექტემბრის N01-04/72 ბრძანება „2021-2021 სასწავლო წელს სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“; ○ მემორანდუმები/ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული საბიბლიოთეკო ფონდი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ■ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის საჭიროებების მიხედვით, ბიუჯეტის ოდენობის განსაზღვრას ახდენს უნივერსიტეტის **ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური.**

უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყაროა საგანმანათლებლო პრორგამების სასწავლო საფასურიდან მისაღები შემოსავალი, რომლის მოცულობა 2014 წლიდან 2019 წლამდე ყოველწლიურად მზარდია.

როგორც შესწავლილი მასალიდან გამომდინარეობს, ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვის პარალელურად იგეგმება ხარჯები. **ხარჯვითი ნაწილის განსაზღვრისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს იმ აუცილებელ ხარჯებს,** რომლებიც ევალება უნივერსიტეტს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. სახელდობრ, პროგრამის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება მის სტრუქტურას.

სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი შეიცავს სულ სამ ნაწილს:

ა. სასწავლო კომპონენტს;

ბ. პრაქტიკასა და

გ. კვლევით კომპონენტს.

პროგრამის საათობრივი დატვირთვა განისაზღვრება შემდეგი წესით: 1 კრედიტი = 25 საათს. სასწავლო წლის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დადგენა ხდება აკადემიური ხელფასისა და პრაქტიკის ხარჯის გაანგარიშების დახმარებით. სახელდობრ, აქ მითითებულია აკადემიური ხელფასი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომითი ანაზღაურება, კომუნალური, გადასახადების, ინფრასტრუქტურისა და ე.წ. **„რისკის დაზღვევის“** ხარჯები. თუმცა პრაქტიკის განყოფილება ღიად არის დატოვებული. ამასთან, დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შეჯერების საფუძველზე გაირკვა, რომ გარკვეული აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სხვა გარდა ამისა, პროგრამის მთლიან ხარჯში გათვალისწინებულია ის აქტივობებიც, რომლებსაც ფაკულტეტები ახორციელებენ მოზიდული რესურსების ფარგლებში.

უნივერსიტეტში მოქმედებს **ანგარიშვალდებულების ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმი.** ფინანსური მართვის სისტემა უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების ეფექტური მართვის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები აკონტროლებენ ბიუჯეტის შესრულებას საბიუჯეტო კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების მიხედვით.

პროგრამის ბიუჯეტში გამოყოფილი ე.წ. **„რისკის დაზღვევის“** ხარჯები ემსახურება გაუთვალისწინებელი შემთხვევების პრევენციასა და მათი უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. თუმცა ბიუჯეტში ნათლად არაა ასახული აუცილებელი აქტივობების განსაზღვრული ხარჯები, როგორიცაა: პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, შიდა გრანტების, მივლინებების, პროფესიული განვითარების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ხარჯები. ასევე, დაფინანსების ალტერნატიული წყაროებიდან ხარჯიც არაა შევსებული. ინტერვიუზე ითქვა, რომ აუცილებლობისას შესაძლებელია სხვა ფაკულტეტებიდან გარკვეული თანხის გადმოტვირთვა. პროგრამის მდგრადობის მიზნებისთვის ჩანს ბიუჯეტის დოკუმენტში აუცილებელი ხარჯების უფრო დეტალურად ასახვის საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;

○ სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის №175 დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ“; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, ბიუჯეტის დოკუმენტში უფრო დეტალურად აისახოს კონკრეტული აქტივობები, დეფიციტურობისას კი - პროგრამის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ■ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“, სადაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდეგი მიზნები: - უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა; - უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სასურველი დონის ხარისხის უზრუნველყოფა, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის შიდა სტანდარტებითა და კრიტერიუმებით; - უნივერსიტეტის საქმიანობის განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რათა მიღწეული იქნეს ინსტიტუციური ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უწყვეტობა; - უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგების რეგიონულ და ეროვნულ დონეზე აღიარება და - საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლება; - ყველა პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას: 1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA; 2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA; 3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA; მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA ხორციელდება ორი პროცედურის საშუალებით: • ME-QA 3.1 თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა. • ME-QA 3.2 მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა დაფუძნებულია საერთაშორისო „კარგი პრაქტიკისა“ და გამოცდილების გაზიარებაზე, რომლის გათვალისწინებით იგეგმება ხარისხის სისტემაში გამოყენებული პოლიტიკები, პროცედურები და ინსტრუქციები. მათ შორის **EP-QA 1.2** - საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებული ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა შემუშავდა Bath Spa University-ის გამოცდილების გაზიარებით. ჩეხეთის პრაღის სიცოცხლის შემსწავლელი

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებისათვის; მობილობისა და კრედიტების აღიარების პროცედურების განვითარებისათვის და თანამედროვე მიდგომების დასანერგად უნივერსიტეტი თანამშრომლობს London Middlesex University-თან.
დაწესებულებამ წარმოადგინა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ (დადგენილება №157; 28.02.1018 წ). დოკუმენტში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოზიციური სტრუქტურა. გაწერილია შემდეგი მუხლები - სამსახურის სტატუსი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება; სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა; სამსახურის მიზნები; სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები; სამსახურის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა; სამსახურის პერსონალი და დასკვნითი დებულებები.

ინტერვიურებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს “ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის” (PDCA) მიხედვით. აღნიშნული ითვალისინებს “დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რეაგირების” პრინციპს. მოდელი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების სქემას. ის გამოიყენება უნივერსიტეტში სრული და ცალკეული პროცესების ხარისხის უზრუნველსაყოფად და განსავითარებლად. “ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი” (PDCA) მოქმედებს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური “ხარისხის უზრუნველყოფის ციკლიდან” (PDCA) გამომდინარე - გეგმავს საკუთარ სამუშაოს, კერძოდ, გეგმავს, საქმიანობის რომელი ასპექტები უნდა შეფასდეს; ახორციელებს დაგეგმილ სამუშაოს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; აკეთებს მიღებული შედეგების ანალიზს; განსაზღვრავს აღმოჩენილი ხარვეზების მიზეზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები, სადაც ნათლად ჩანს მათ მიერ განხორციელებული კვლევების ანალიზის შედეგები - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და სხვა აქტივობები.
შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში გამოყენებულ პროცესებსა და პროცედურებში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები, სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობა, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა პირები. შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის დაწესებულება ეფექტურად იყენებს შესაბამის ადამიანურ, საინფორმაციო და მატერიალურ რესურსებს. ინტერვიურებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აქცენტი გააკეთა ხარისხის კონტროლსა და უზრუნველყოფაში უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ გუნდური მუშაობის შედეგად ხდება პრობლემების იდენტიფიცირება, შეთანხმება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, მისი განხორციელების გზებზე და პროცესების დაგეგმვაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა არის ინტეგრირებული ხასიათის და ეფუძნება ხარისხის განვითარების, სრულყოფის, პერსონალთან და სტუდენტებთან ღია თანამშროლობის

პრინციპებს.
ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, კერძოდ:

- თვითშეფასების კითხვარი ლექტორებისთვის.
- კითხვარი დამამთავრებელი კურსის სტუდენტთათვის.
- დამსაქმებელთა კითხვარი.
- სტუდენტთა კითხვარი.
- კურსდამთავრებულთა კითხვარი.
- მეცადინეობის ხარისხის შეფასების კითხვარი სტუდენტებისთვის.

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მშენებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა შიდა შეფასება. შიდა შეფასება განხორციელდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ. გაწერილი რეკომენდაციები ასახულ იქნა შესაბამის დოკუმენტებში. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული საკითხი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი სახის უზუსტობები:
-უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1) მე-2 პუნქტის (პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია) 2.3 ქვეპუნქტი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს - „პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „შუალედური კვალიფიკაცია“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით“. <u>დოკუმენტიდან ამოღებულ უნდა იქნეს აღნიშნული ჩანაწერი.</u>
-უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1) მე-2 პუნქტის (პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია) 2.4 და 2.5 ქვეპუნქტებში <u>გასწორდეს ჩანაწერები სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.</u>
-უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1) მე-7 პუნქტის 7.1 ქვეპუნქტის ჩანაწერები <u>შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ჩანაწერებთან.</u>

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დამსაქმებელთა კვლევის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- შიდა შეფასების ანგარიში;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ (დადგენილება №157; 28.02.1018 წ);

- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის შესახებ;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- თვითშეფასების ანგარიში.;
- ინტერვიურების შედეგები.

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია, რამდენიმე დოკუმენტის** (უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1), უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1), უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1) **ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანა** ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში, მე-5 სტანდარტის „ძლიერი და გასაუმჯობესებელ მხარეების“ შეფასებისას გაწერილია, რომ გასაუმჯობესებელი მხარეები არ არის სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ვინაიდან დაწესებულება „ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს“ (PDCA) იყენებს, სასურველია, გადაიხედოს აღნიშნული საკითხი ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

[redacted] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის ნაწილია გარე შეფასების მექანიზმების გამოყენება. უნივერსიტეტი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა გარე შეფასების დასკვნა. პროგრამა გარე ექსპერტიზისათვის გაგზავნილ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე. პროგრამა შეფასებულ იქნა როგორც ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის მიერ, ასევე სამშენებლო ორგანიზაცია შპს „ინ-სი"-ს მთავარი კონსტრუქტორის, დარგის სპეციალისტის მიერ. სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი არის ასევე ეკონომიკის სამინისტროს საგანგებო ობიექტების ექსპერტი, ტ.მ.კ. დასკვნაში გამოთქმული მოსაზრებები, რეკომენდაციები და შენიშვნები თვითშეფასების ჯგუფის მიერ გათვალისწინებულ იქნა შემლებისდაგვარად. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია სრულად ვერ გაითვალისწინეს, ვინაიდან ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის მიდგომებს. რეკომენდაცია ეხებოდა „ლითონის კონსტრუქციები და რკინაბეტონის კონსტრუქციების" სასწავლო კურსში საკურსო სამუშაოს/პროექტის განხორციელებას. სასწავლო კურსის ავტორის მხრიდან ამოცანების სახით განხორციელდა პროექტის დაყოფა და შემლებისდაგვარად სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გარე ექსპერტის შეფასება. ○ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება" (დადგენილება №157; 28.02.1018 წ); ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ ინტერვიურების შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA“, რომელიც ორი პროცესურის საშუალებით ხორციელდება:

1. ME-QA 3.1 თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა გამოიყენება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში უნივერსიტეტის მიერ განიხილება, როგორც სწავლა/სწავლებისა და კვლევითი პროცესის ხარისხის განმავითარებელი ინსტრუმენტი. იგი უნდა ასახავდეს პროგრამის შესაბამისობას განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან. თვითშეფასების ანგარიშები, პროცესებში ფართო ჩართულობისა და შინაარსობრივი მხარის გაძლიერების მიზნით, ეყრდნობა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას (SWOT ანალიზი ან/და სხვა). უნივერსიტეტის სწავლა/სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის, სერვისების ხელმისაწვდომობისა და ორგანიზაციული განვითარების დონის შესაფასებლად გამოიყენება წლიური ანგარიშგება. თვითშეფასება და ანგარიშგება ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულისა და სტუდენტთა წარმომადგენლები.
2. ME-QA 3.2 მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურის მიზანია უზრუნველყოს სწავლა/სწავლების, კვლევის და მართვის პროცესების პერიოდული შეფასება მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ იგეგმება და ხორციელდება სამუშაო შეხვედრები, სადაც იხილავენ აკრედიტაციის სტანდარტებს, აკრედიტაციის პროცედურებს, საგანმანათლებო პროგრამის კურიკულუმისა და სილაბუსების

მომზადების საკითხებს სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამების ხელმძღვანელების აქტიური ჩართვა ხორციელდება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში თემებზე: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგია“, „თვითშეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება“, „დარგობრივი მახასიათებლების გამოყენება მედიცინის პროგრამების აკრედიტაციის დროს“.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციით საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით (EP-QA 1.3). დოკუმენტში განსაზღვრულია პროცედურის მიზანი, პროცედურის გამოყენების არე, მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პირობა. პროცედურის განხორციელების ფაზებისა და ვადების პუნქტში განსაზღვრულია მოქმედი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცედურა სამი ფაზა: - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების განსაზღვრის (იდენტიფიცირების) ფაზა; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების შემუშავების ფაზა; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების განხილვისა და დამტკიცების ფაზა. დოკუმენტში გაწერილი პროცედურები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა - EP-QA 1.2 (დადგენილება №49 (17/18)). პროცედურის მიზანს წარმოადგენს მოქმედი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის აუცილებელი აქტივობების/ღონისძიებების და კრიტერიუმების/ინდიკატორების განსაზღვრა, ამ აქტივობების/ღონისძიებების განხორციელების გზებისა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა. დოკუმენტის მე-3 პუნქტში განსაზღვრულია მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის განსაზღვრული შემდეგი აქტივობები/ღონისძიებები:

1. ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები;
2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
3. კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი;
4. პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების ანალიზი;
5. კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ანალიზი;
6. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ანალიზი;
7. ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურის დოკუმენტში - EP-QA 1.2 ასევე

განსაზღვრულია აკადემიური პროგრამების შეფასების აქტივობა, პერიოდულობა და ვადები. იდენტიფიცირებულია წარმმართველი პირი/სტრუქტურა. დოკუმენტის მე-6 პუნქტში გაწერილია პროცედურის შემადგენელი აქტივობების/ღონისძიებების განხორციელების გზები აკადემიური პროგრამებისთვის, კერძოდ: გამოკითხვების ჩატარების წარმმართველ პირს/სტრუქტურას წარმოადგენს პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

- კითხვარებს ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- გამოკითხვის სახე, ფორმა და კითხვარები განიხილება და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
- დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას წარმართავს პროგრამის ხელმძღვანელი.
- გამოკითხვის შედეგების აანალიზებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვის შედეგების ანალიზს (№5 პუნქტით დადგენილი პერიოდულობითა და ვადებით) უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს.

ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ კითხვარების ანალიზის შედეგები, შიდა და გარე შეფასების შედეგები და რეკომენდაციების გათვალისწინება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამებში, სასწავლო კურსის სილაბუსებში და სხვა დოკუმენტაციაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ Covid - პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო დაწესებულება ახალი გამოწვევების წინაშე დადგა და გადავიდა ონლაინ სწავლებაზე საერთაშორისოდ აღიარებული პლატფორმების Microsoft Teams და Moodle გამოყენებით. მიმდინარე ეტაპზე სასწავლო პროცესი ხორციელდება ჰიბრიდული მიდგომით. აწსუ-ში შექმნილი ონლაინ სწავლების მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, ონლაინ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით ჩატარდა ტრენინგები უნივერსიტეტის პერსონალისთვის. ფაკულტეტებზე შეიქმნა დახმარების ჯგუფები, რომლებიც აკადემიური ჯგუფების ფორმირებას უწევდა ორგანიზებას. დამზადდა სტუდენტთა დახმარების სპეციალური პორტალი, სადაც სტუდენტს გაეწია ონლაინ კონსულტაცია და ვიდეო-სახელმძღვანელოები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. რაც განთავსდა უნივერსიტეტის მიერ შექმნილ დახმარების პორტალებზე - სტუდენტებისათვის www.online.atsu.ge და აკადემიური პერსონალისთვის www.online.atsu.ge/lector/ .

აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ონლაინშეხვედრების, ონლაინსწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) არის ადამიანის პერსონალური მონაცემები. ამიტომ პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა აისახოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების თაობაზე წესში. აქ გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წელს შემუშავებული რჩევები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. უნივერსიტეტს სჭირდება დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფისა და პანდემიის გამოწვევების სათანადოდ მართვისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;, აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018 წ. ○ EP-QA 1.3. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა. (დადგენილება №49 (17/18)). ○ EP-QA 1.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (დადგენილება №49 (17/18)). ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა"; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა; ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ სტრატეგიული გეგმა; ○ ინტერვიუს ანგარიში; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი, შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

მშენებლობა. მეშვიდე საფეხური. მაგისტრატურა.

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 56

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ირმა ღარიბაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:



ვახტანგ ბალავაძე

ალექსანდრე წაქაძე

მიხეილ ბიჭია



ირაკლი ნოდია